საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 3 21 0000406915

26/04/2021

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 23 აპრილის №399198 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით თვითშეფასების ანგარიშის ცენტრში წარდგენის ვადად განისაზღვროს 2021 წლის პირველი ივლისიდან 2021 წლის 31 ივლისის ჩათვლით პერიოდი.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თვითშეფასების ანგარიშისა და დანართის სახით წარსადგენი დოკუმენტების წარმოდგენა განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, კერძოდ, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბ რძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

4. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ